ჩვენ ოქტომბერმა დაგვაძლიერა

დღეს მოსკოვში დაიწყება „საქართველოს დღეები“

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 132 (13824) | ხუთშაბათი, 8 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

რუმინეთის ელჩი ეწვია ლ. ი. ბრეჟნევს

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ტ. მარინესკუ 6 ივნისს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

ლ. ი. ბრეჟნევსა და ტ. მარინესკუს შორის გაიმართა ამხანაგური საუბარი.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 6 ივნისს კრემლში მიიღო კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი ნოროდომ ფურისარა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ა. ნ. კოსიგინსა და ნ. ფურისარას შორის გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი, რომლის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-კამბოჯის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები და ზოგიერთი ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემა. (საკდესი).

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი

6 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი ნოროდომ ფურისარა და გულთბილად, მეგობრულად ესაუბრა მას. (საკდესი).

კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი სამშობლოში გაემგზავრა

7 ივნისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი ნოროდომ ფურისარა, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იყო საბჭოთა მთავრობის მოწვევით. (საკდესი).

მეგობრობის დღესასწაული

საქართველოს დღეების გახსნის წინ

მოსკოვი, 7 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ). მეორე დღეა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები ეცნობიან ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს, ქალაქის მშრომელებს.

დღეს საქართველოს სსრ კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკეს.

შემდეგ ისინი მივიდნენ დიდების მარადიულ ცეცხლთან უცნობი ჯარისკაცის საფლავზე, რათა თავიანთი სიყვარული და პატივისცემა გამოეხატათ დედაქალაქის დამცველი გმირისადმი. საქართველოს დელეგაციის სახელით უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, დ. სტურუამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ. გვირგვინზე წარწერილია: „უკვდავია, ვინც სამშობლოს შესწირა თავი. საქართველოს მშრომელებისაგან“. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმისაკენ მიმავალ მშრომელთა გრძელი რიგი ერთხანს შეჩერდა, როცა ვოკალურმა ანსამბლმა „გორდელამ“ შეასრულა საგალობელი და სხვა ძველი ქართული სიმღერები.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ჭუჭაზე წარმტაცი სკვერში დაიდგა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის ძეგლი — ქართველი და რუსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა და ძმობის სიმბოლო. დღესაც ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი მასპინძლების — მოსკოველების თანხლებით ეწვივნენ ამ ძეგლს და გვირგვინით შეამკეს.

მარადიული და ურღვევია ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობა, რუსული და ქართული კულტურების მეგობრობა, და, თითქოს ამ ძმობასა და ერთობას გამოხატავენო, ქართული კულტურის წარმომადგენლები მიემართებიან დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის ძეგლისაკენ.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა და მწერალმა კ. ლორთქიფანიძემ პოეტის ძეგლის კვარცხლბეკი გვირგვინით შეამკეს. გვირგვინზე წარწერილია: „დიდ რუს პოეტს ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინს. საქართველოს მშრომელებისაგან“. აქაც ხალხი ჩერდებოდა ძეგლთან, რომ მოესმინათ ანსამბლ „გორდელასთვის“, რომელიც ტკბილად მღეროდა „სულიკოს“.

ამავე დღეს მოსკოველ ძერჟინსკის რაიონში გაიმართა საქართველოს დელეგაციის წევრთა შეხვედრა პარტიულ და საბჭოთა აქტივთან. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ო. კრიეოშენა და ქალაქ მოსკოვის ძერჟინსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კუზნეცოვი ქართველ ამხანაგებს ესაუბრნენ რაიონის ეკონომიკასა და კულტურაზე, მშრომელთა ცხოვრებაზე.

შემდეგ დელეგაცია იყო ძერჟინსკის რაიონის ახალშენებზე, დათვალიერა ოსტანკინოს სატელევიზიო კოშკი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღი.

საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **დ. სტურუას** გაეზიარებინა შთაბეჭდილებანი ქართული კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა მიერ მოსკოვში გატარებული პირველი დღეების შესახებ.

— სულ ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში მოეწყო მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, — თქვა ამხ. სტურუამ. — ეს იყო ჩვენი მშრომელების სიხარულით აღსავსე. მეგობრული შეხვედრები მოსკოვის ხელოვნების მოღვაწეებთან. და აი ჩვენ კვლავ ერთად ვართ, ვგრძნობთ ურღვევ ძმობასა და გულითად ამხანაგობას. შობლიურ მოსკოვში ჩამოსვლის პირველი წუთიდანვე საქართველოს წარმომადგენლები გრძნობენ ზრუნვასა და სითბოს. რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატებმა და თვითმოქმედმა კოლექტივებმა მოსკოველებს ჩამოუტანეს ტკბილი სიმღერები და მელოდიები, ცეცხლოვანი ქართული ცეკვები. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხელისუფლების საიუბილეო წელს ქართული კულტურისა და ხელოვნების მიღწევათა ჩვენება ხელს შეუწყობს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ასეთია პირველი ნაცნობობა, პირველი შთაბეჭდილებანი... წინ არის საინტერესო შეხვედრების, მკაფიო მოვლენების კვირეული, წინ არის ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის დიდი დღესასწაული.

მოსკოვი. 6 ივნისი. „საქართველოს დღეები“ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში. გულთბილად და გულღიად შეეგებნენ მოსკოველები საბჭოთა საქართველოს წარგზავნილებს. მოსკოვის ასობით წარმომადგენელი მოვიდა ვნუკოვოს აეროპორტში ძვირფასი სტუმრების შესახვედრად.

სურათზე: საქართველოს დელეგაციის წევრები შესახვედრად მოსულ მოსკოვის წარმომადგენლებთან ერთად ვნუკოვოს აეროპორტში.

ფოტო **გ. კიკვაძისა** (სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

გულში გიკრავთ, ქართველო ძმებო!

ო. კრიეოშენა,

**საბჭოთა საქართველოს ხელოვნების ოსტატებმა ერთ-ერთ ადგილზე ჩაიყარეს ბანაკი. ეს ადგილი ერქვა ბაბეკალ-ბაღი. ეს ბანაკი ეკუთვნოდა ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღს. ბაღი ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღად ეწოდებოდა, ბაკურიან

საბჭოთა მთავრობის განცხადება ისრაელის მთავრობას

ამა წლის 7 ივნისს საბჭოთა მთავრობამ ისრაელის მთავრობას გაუგზავნა შემდეგი განცხადება:

„სხვადასხვა წყაროებიდან მოდის ცნობები, რომ ისრაელის მხარე არ ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ცეცხლისა და ყველა საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ისრაელი უხეშად და დემონსტრაციულად თელავს ამ გადაწყვეტილებებს და განაგრძობს ომს არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ისრაელის მთავრობის ასეთი პოზიცია, ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ აგრესიულია არსი თქვენი პოლიტიკისა, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ურთიერთობის ელემენტარულ ნორმებს, ააშკარავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების უპატივცემულობას.

საბჭოთა მთავრობა სრულიად გარკვეულ-ით აფრთხილებდა ისრაელის მთავრობას, რომ არ განეხორციელებინა აგრესიისა და ავანტიურების პოლიტიკა. მაგრამ ისრაელის ხელმძღვანელებმა ყურად არ იღეს გონების ხმა.

თუ ახლა ისრაელის მთავრობა დაუყოვნებლივ არ შეასრულებს სახელმწიფოთა საერთო მოთხოვნას ცეცხლის უყოყმანოდ შეწყვეტის შესახებ, რაც გამოთქმულია უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში, საბჭოთა კავშირი გადასინჯავს თავის დამოკიდებულებას ისრაელისადმი და მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გააგრძელოს თუ არა შემდგომში დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან, რომელიც თავისი მოქმედებით უპირისპირდება ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს.

თავისთავად იგულისხმება, რომ საბჭოთა მთავრობა ისრაელის აგრესიული პოლიტიკის შესაბამისად განიხილავს და განახორციელებს სხვა საჭირო ღონისძიებებსაც“.

ერთიანი ფრონტი

საერთაშორისო ხელოვნება

ახლო აღმოსავლეთის კრიზისი

□ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ცნობა □ ისრაელის ჯარები განაგრძობენ საომარ მოქმედებას □ აგრესორი არ ისვენებს □ ამერიკელთა ევაკუაცია ლიბიიდან □ კუვეიტის მთავრობის გადაწყვეტილება □ მაგრიბანია სოლიდარული □ ოცი მოგზაურელთა ხეები კაიროლიუმში □ გადაიდო ირანის შაჰის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

უნგრეთის მთავრობა მოუნოდებს

ბუდაპეშტი, 7 ივნისი. (საკდესი). ახლო აღმოსავლეთის კრიზისი შევიდა გამანადგურებელი ომის ფაზაში, რომლის შედეგები საფრთხეს უქმნიან როგორც ამ რაიონის ქვეყნებს, ისე საერთაშორისო მშვიდობას. ეს ნათქვამია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში, რომელიც უნგრეთის დეპეშათა სააგენტომ გადასცა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სრულ სოლიდარობას უცხადებს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სხვა არაბული სახელმწიფოების მთავრობებს, რომლებმაც ხელში აიღეს იარაღი, რათა ჯეროვანი პასუხი გასცენ აგრესორებს, და მოუწოდებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს დაუყოვნებლივ იხმარონ ღონისძიებანი, რათა ბოლო მოეღოს აგრესიას ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენის ინტერესებისთვის.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განახორციელოს გადამწყვეტი ღონისძიებანი აგრესიის წინააღმდეგ, რომელიც საყოველთაო მშვიდობას ემუქრება, და ყოველი ღონე იხმაროს ახლო აღმოსავლეთში კრიზისის მოსაწესრიგებლად. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მხარს უჭერს წინადადებებს, რომ შეწყდეს საომარი მოქმედება, დასწინონ ჯარები საწყის პოზიციებზე და სამართლიანად გადაიჭრას სადაო საკითხები მოლაპარაკების გზით.

ჩამოგდებულია 2001-ე ამერიკული თვითმფრინავი

ჯანოი, 7 ივნისი (საკდესი). ვიეტნამელმა მეზენიტეებმა გახსნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავების მესამე ათასის ანგარიში.

იუგოსლავია-ბულგარეთის განცხადება

ბელგრადი, 7 ივნისი. (საკდესი). იუგოსლავია და ბულგარეთი გადაჭრით გმობენ ისრაელის აგრესიას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, აგრესიას, რომელსაც აქეზებენ იმპერიალისტური და რეაქციული ძალები. ეს ნათქვამია იუგოსლავია-ბულგარეთის ერთობლივ განცხადებაში მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ბელგრადში გაიმართა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარეს ი. ბროზ ტიტოსა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ტ. ჟივკოვს შორის.

ერთობლივ განცხადებაში გამოთქმულია სერიოზული წუხილი იმ მდგომარეობის გამო, რაც ამ ბოლო დროს საბერძნეთში შეიქმნა. ყოველივე ის, რამაც შეიძლება დაარღვიოს მშვიდობა და უშფოთველობა ბალკანეთში და ხელი შეუშალოს ბალკანეთის ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესს, ეწინააღმდეგება ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხთა ინტერესებს, ხაზგასმულია განცხადებაში. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ სულ უფრო რთული პრობლემები, რომლებიც ხვდება საერთაშორისო მაშასა მოძრობას, მოითხოვენ აზრთა და გამოცდილების გაზიარებას კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის.

ახლო აღმოსავლეთის კრიზისი

კაირო, 7 ივნისი. (საკდესი). სინას ნახევარკუნძულზე გრძელდება ბრძოლები, მიმდინარეობს ეგვიპტის ჯარების გადაჯგუფება თავდაცვის მეორე ხაზზე. რამოგდებულია მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი, ნათქვამია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის ცნობაში, რომელიც კაიროს რადიომ გადასცა. ცნობაში ნათქვამია აგრეთვე, რომ სუეცთან საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია კიდევ ისრაელის 8 თვითმფრინავი.

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანმა გუშინ უშიშროების საბჭოს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია ისრაელისა და არაბთა ქვეყნების საომარი მოქმედების შესახებ, რომელიც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინის დაზვევების სამეთვალყურეო ორგანიზაციის შტაბის უფროსის გენერალ ოდ ბულისა (ნორვეგია) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების სარდლის გენერალ რიჯხისაგან.

5 ივნისს, ნათქვამია ინფორმაციაში, მდგომარეობა დამასკოში, ბეირუთსა და ტიბერიაში მშვიდი იყო, მაგრამ 6 ივნისს 3.55 საათზე გრინვიჩის დროით ისრაელ-სირიის დაზვევების მთელი ხაზის გასწვრივ დაიწყო ბრძოლები, რომლებშიც გამოიყენეს არტილერია, ტანკები, ავიაცია და ნაღაფლი.

იორდანიის არტილერიამ 5 ივნისს ცეცხლი დაუშინა ტელ-ავივსა და ლიდუს.

სირია-ისრაელის დაზვევების შერეული კომისიის დასავლელი თავმჯდომარეები ცდილობდნენ თავს მოეხვიათ სირიისა და იორდანიისათვის ცეცხლის სეპარატიული შეწყვეტა, რაც საშუალებას მისცემდა იორდანიას გაათავისუფლოს ძალები სინას ნახევარკუნძულზე შეტევის გასაძლიერებლად.

უ თანის ინფორმაციის თანახმად, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ფრონტზე 6 ივნისს 11.00 საათზე გრინვიჩის დროით ისრაელის ტანკები შევიდნენ ქალაქ ღაზაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების შტაბის ბაზა ღაზის რაიონში ორსაათნახევრის მანძილზე ინტენსიურად უშენდა ცეცხლს ისრაელის არტილერია. ინდოეთის კონტინგენტის სამი ჯარისკაცი დაიჭრა. უ თანმა აცნობა საბჭოს, რომ პროტესტს განუცხადებს ისრაელის მთავრობას.

უ თანმა დაიმოწმა ისრაელის რადიოს ცნობა და განაცხადა, რომ ისრაელის ჯარებმა დაიკავეს ლატრუნი და ყენინი იორდანიაში.

ლონდონი, 7 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან აცნობებენ, ისრაელის კომუნიკეში, რომელიც გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოწოდების შემდეგ შეწყვიტონ ცეცხლი, ნათქვამია, რომ ისრაელის ჯარები განაგრძობენ წინსვლას.

სატანკო ნაწილები, ნათქვამია კომუნიკეში, განაგრძობენ წინსვლას სინას ცენტრალურ ნაწილში სუეცის არხის მიმართულებით. შეტევა წარმოებს სამი მიმართულებით: ჩრდილოეთ მონაკვეთზე კანტარისაკენ, ცენტრალურ სექტორში —ისმაილიის მიმართულებით და სამხრეთში — პორტ-ტაუფიკის მიმართულებით, რომელიც არხის აზიურ ნაპირზე, სუეცის ნაკუალგურის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს.

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. (საკდესი). ისრაელის ჯარები მიიწევენ ისმაილის მიმართულებით, რომელიც მდებარეობს სუეცის არხზე პორტ-საიდსა და სუეცს შორის. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საააგენტო, რომელიც იმოწმებს ისრაელის რადიოს გადაცემას. გადაცემაში არ არის აღნიშნული კონკრეტულად სად იმყოფებიან ისრაელის ჯარები.

ლონდონი, 7 ივნისი. (საკდესი). გუშინ ლონდონს ეროპორტ ჰიტროუდან ისრაელს გაფრინდა სამი თვითმფრინავი, რომლებსაც მიაქვთ ტანკების სათადარიგო ნაწილები, მედიკამენტები და სხვა ტვირთი. ამას იუწყება გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“.

ბეირუთი, 7 ივნისი. (საკდესი). საუდის არაბეთის მთავრობამ დღეს მიიღო გადაწყვეტილება შეუერთდეს არაბულ ქვეყნებს და შეაწყვიტოს ნავთობის მიწოდება ყველა სახელმწიფოს, რომლებიც დახმარებას უწევენ ისრაელს. ამას იუწყება ეროვნული რადიო. ამასთან რადიო არ ასახელებს ქვეყნებს, რომლებსაც შეუწყვეტენ ნავთობის მიწოდებას.

ლონდონი, 7 ივნისი. (საკდესი). ისრაელი ჯიუტად უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამას მოწმობს მრავალი ფაქტი. ისრაელი უპირისპირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს და განაგრძობს აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ყველა ფრონტზე. ისრაელის არმიის სატანკო ქვეგანაყოფები, ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც ტელ-ავივის რადიომ გადასცა, შეიჭრნენ სინას ნახევარკუნძულზე სუეცის არხის მიმართულებით.

იორდანის ფრონტზე ისრაელის ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის რამალა, ჯენინი, ლატრუნი და სხვები. ამ რაიონში, როგორც ისრაელის სამხედრო რადიოკომენტატორი ადასტურებს, ისრაელის ჯარები ცდილობენ შეიჭრნენ მდინარე იორდანის ხეობაში.

ისრაელი საბრძოლო მოქმედებას აწარმოებს სირიის ფრონტზეც.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ისრაელის აგრესიული წრეები ვერაგულად არღვევენ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას და განაგრძობენ აგრესიას არაბი ხალხების წინააღმდეგ.

ვაშინგტონი, 7 ივნისი. (საკდესი). პენტაგონმა გამოაცხადა, რომ ამერიკის 20-მდე სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავს გზაჭიანან ევროპიდან ლიბიის სამხედრო-საჰაერო ბაზა „უილუსში“ იქ მყოფი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების წევრებისა და სხვა ამერიკელი მოქალაქეების „ევაკუაციისათვის“, „თუ ეს საჭირო იქნება.“

პენტაგონის სიტყვით, „ეს „წინასწარი ღონისძიებაა“, რაც ხორციელდება ლიბანში ამერიკის ელჩის თხოვნით.

სამხედრო-საჰაერო ბაზა „უილუსში“, იუნატედ პრეს ინტერნეშნლის ცნობის თანახმად, აჩის რამდენიმე ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახების 3.000-მდე წევრი.

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. (საკდესი). კუვეიტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვიტოს ნავთობის გადატუმბვა და გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში. ამ საკითხში □ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ცნობა □ ისრაელის ჯარები განაგრძობენ საომარ მოქმედებას □ აგრესორი არ ისვენებს □ ამერიკელთა ევაკუაცია ლიბიიდან □ კუვეიტის მთავრობის გადაწყვეტილება □ მაგრიბანია სოლიდარული □ ოცი მოგზაურელთა ხეები კაიროლიუმში □ გადაიდო ირანის შაჰის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ნუაშოტი, 7 ივნისი. (საკდესი). მავრიტანიის პარტია, მთავრობა, პარლამენტი და ყველა ეროვნული ორგანიზაცია გამოდიან არაბეთისა და აფრიკის მოძმე ქვეყნებთან ერთად სამართლიან ბრძოლაში ისრაელისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ნათქვამია ხალხის პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც გუშინ მავრიტანიის დედაქალაქში გამოქვეყნდა.

პარტიის ეროვნული პოლიტბიურო, ხაზგასმულია განცხადებაში, „აღიარებს ადასტურებს, რომ სრულ მორალურ მხარდაჭერას უჭერს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ არაბ ხალხებს. მავრიტანიის ხალხის პარტიის ეროვნულმა პოლიტბიუროს მიიღო გადაწყვეტილება მოაწყოს სახსრების საერთო ეროვნული შეგროვება არაბთა ქვეყნებისათვის.

ვაშინგტონი, 7 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების „ონგრესული ორივე პალატაში ომის მოტრფიალენი მხარს უჭერენ ისრაელს აგრესიას არაბული სახელმწიფოთა წინააღმდეგ. „ჩვენ მხარს ვუჭერთ ისრაელს“,— განაცხადა წარმომადგენელთა პალატაში კონგრესმენმა ლეო ოდონელმა (რესპუბლიკელი, ნიუ-ჰემპშირის შტატი). ამ განცხადებას ორივე პარტიის — დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლები ტაშით შეხვდნენ.

კაპიტოლიუმის მეორე მხარეს — სენატშიც კანონმდებლებმა წარმოთქვეს არა ნაკლებ პროვოკაციული სიტყვები. სენატორმა მორზემ მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიაწოდოს ისრაელს ყველა საჭირო საბრძოლო მასალა. სენატორმა კაფიტსმა მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დააკმაყოფილოს ისრაელის ყველა მოთხოვნა. სენატორმა პერსიმ მოუწოდა მთავრობას გაფრთხილოს ეკონომიური დახმარება ისრაელისადმი.

ვაშინგტონი, 7 ივნისი. (საკდესი). ირანის შაჰმა შეატყობინა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ გადაწყვიტა გადადოს თავისი ვიზიტი ვაშინგტონში, განაცხადა თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა კრისტიანმა.

შაჰი ვაშინგტონში უნდა ჩასულიყო მიმდინარე წლის 12-13 ივნისს.

იუგოსლავია-ბულგარეთის განცხადება

ბელგრადი, 7 ივნისი. (საკდესი). იუგოსლავია და ბულგარეთი გადაჭრით გმობენ ისრაელის აგრესიას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, აგრესიას, რომელსაც აქეზებენ იმპერიალისტური და რეაქციული ძალები. ეს ნათქვამია იუგოსლავია-ბულგარეთის ერთობლივ განცხადებაში მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ბელგრადში გაიმართა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარეს ი. ბროზ ტიტოსა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ტ. ჟივკოვს შორის.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭომ განაახლა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის განხილვა. საბჭოს თავმჯდომარემ ივნისში თაბორმა (დანია) აღნიშნა, რომ დელეგაციებს შორის ორი დღის კონსულტაციების შედეგად შეიმუშავეს პროექტი რეზოლუციისა, რომელიც მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მთავრობას პირველ ნაბიჯად ახლავე ყოველი ღონით ეცადონ, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი და შეწყდეს მთელი საომარი მოქმედება ახლო აღმოსავლეთის რაიონში.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ადნან პაჩაჩი, რომელმაც დაგმო ისრაელის აგრესია, მოითხოვდა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი და განახორციელონ ჯარების უმენიშვნელოვანესი ტერიტორიიდან, რომელიც ვერაგული აგრესიის შედეგად დაიკავეს.

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ებანი ამტკიცებდა, რომ ახლანდელი შეიარაღებული კონფლიქტი ისრაელს არ დაუწყია. ებანმა თავის გამოსვლაში გამოამჟღავნა, რომ ისრაელი ჯარების უკან დაწევის პირობად მოითხოვს, „კერძოდ, გაუქმდეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კონტროლი ტირანის სრუტის მიმართ და არაბთა ქვეყნებმა ცნონ ისრაელის სახელმწიფო.

შემდეგ გამოვიდნენ სირიისა და მაროკოს წარმომადგენლები.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, განაცხადა სხდომის ასახსრულს ნ. ტ. ფედორენკომ, რომ საბჭოს მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება ცეცხლისა და მთელი საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ დღესვე და გადაუდებლად განხორციელდება. მან მოუწოდა საბჭოს თავმჯდომარეს იხმაროს საჭირო ღონისძიებანი აგრესიის უსწრაფესად აღკვეთისათვის. დასავლეთის დელეგაციების წარმომადგენლებმა, რომლებსაც მჭიდრო კონტაქტი აქვთ ისრაელის დელეგაციასთან, აგრძნობინეს საბჭოს წევრებს, რომ ისრაელის ჯარები განაგრძობენ წინსვლას სინას ნახევარკუნძულზე.

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ გუშინ ერთხმად მიიღო პროექტი რეზოლუციისა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის შესახებ:

უშიშროების საბჭო:

გაითვალისწინა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ზეპირი მოხსენება შექმნილი მდგომარეობის შესახებ,

მოისმინა რა უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაკეთებული განცხადებანი,

გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ ახლო აღმოსავლეთში დაიწყო საომარი მოქმედება და შეიქმნა სიმაღლე მდგომარეობა,

და მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მთავრობას დაუყოვნებლივ განახორციელონ ყველა ღონისძიება ცეცხლის შეწყვეტისათვის და ამ რაიონში ყველა საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის, რაც პირველი ნაბიჯი იქნება მშვიდობის აღდგენის გზაზე.

თხოვნით მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომ კვლავაც სწრაფად და დროულად მიაწოდოს უშიშროების საბჭოს ცნობები შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. (საკდესი). უშიშროების საბჭომ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს დაინტერესებულ ქვეყნებს განაახორციელონ ყველა ღონისძიება ცეცხლის შეწყვეტისათვის, რაც პირველი ნაბიჯი იქნება მშვიდობის აღდგენის გზაზე.

სსრ კავშირის მოგზაურობა უშიშროების საბჭოს მოწვევა

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. (საკდესი). იმის გამო, რომ ისრაელი განაგრძობს საომარ ოპერაციებს არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირმა მოითხოვა სასწრაფოდ მოიწვიონ უშიშროების საბჭო იმ საკითხის განსახილველად, თუ როგორ სრულდება უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ცეცხლისა და საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა გაიხსნება 12 საათსა და 30 წუთზე ნიუ-იორკის დროით.

ოფიციალურ განცხადებათა მიუხედავად

ბონი, 7 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ა. ტიუპაევი იუწყება:

თუმცა ოფიციალური ბონი კვლავ და კვლავ აცხადებს, რომ ნეიტრალიტეტს იცავს და არ ერევა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და მთელმა პროპაგანდისტულმა მანქანამ აქტიური კამპანია გაიჩაღეს ისრაელ ექსტრემისტთა მოქმედების მხარდასაჭერად.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღის წინათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ სასწრაფოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, გაგზავნოს ისრაელში 20 ათასი აირწინაღი, ახლა ემზადებიან, რომ გაგზავნონ იქ სატვირთო ავტომობილების დიდი პარტია.

როგორც გაზეთი „ფრაკფურტერ ალგემაინე“ იუწყება, მიწოდებათა შესახებ მოლაპარაკებაში „მონაწილეობს“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საავტომობილო მრეწველობის „ბევრი საწარმო“. ტელ-ავივის მთავრობასთან ამ გარიგებას მზარი დაუჭირა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრანდტმა, რომელმაც დასავლეთ გერმანიის ტელევიზიის გადაცემაში განაცხადა, რომ სატვირთო ავტომანქანები „არ უნდა ჩაითვალოს სამხედრო მასალად“.

„საოქტომბრო კითხვა“

დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი „საოქტომბრო კითხვა“, რომელსაც აწყობენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია.

7 ივნისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საავტო დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო აქტივი, თბილისის გორნიზონის მეომრები, მოსწავლე ახალგაზრდობა. მოხსენება „ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ“ წაიკითხა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ე. ჩერქეზიამ. (საკდესი).

პირველი წარმატება

ივნისში გეგმის გადამეტებით იქნება 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი

ბუშინ, 7 ივნისს, საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომის პირველმა მდივანმა **ბ. ვაშაძემ** „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა: **6 ივნისისათვის (ჩათვლით) რაიონში მოიკრიფა და მრეწველობას ჩაბარდა 2.247.2 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც მაის-ივნისის გეგმის 100.1 პროცენტს შეადგენს, წლიური გეგმა კი შესრულებულია 51 პროცენტით.**

რაიონის მეჩაიეები მიღწეული წარმატებებით როდი კმაყოფილდებიან. ისინი განაგრძობენ ლაშქრობას ჩაის კრეფის წლიური გეგმის ეიდამდე შესრულებისათვის. **მათ მტკიცედ გადაწყვიტეს ივნისში გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.** ახლა პლანტაციებში დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული.

წყალტუბოელები იმისათვის იბრძვიან, რომ **წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.400 ტონის ნაცვლად მოკრიფონ 6.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.**

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. ნ. თოხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების საამოდ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან ამხ. ლეონიდე სვერერიანის-ძე **თოხაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1967 წლის 7 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 2 შახტში ხანძრის ჩაქრობისას გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“:

1. **ბადია** ილია ჩახოს-ძე — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მერესპირატორე.
2. **ბარანი** ვასილ ზაქარიას-ძე — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის განყოფილების მეთაური.
3. **ბოლაბკო** დიმიტრი თეოდორეს-ძე — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მერესპირატორე.
4. **გაბელია** მიხეილ აქსენტის-ძე ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მერესპირატორე.
5. **დბარი** ჩინჩერ მახმედის-ძე — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის ქვეგანყოფილების მეთაური.
6. **კობელნიცკი** ანატოლი მანუსის-ძე — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მეთაურის თანაშემწე.
7. **ქნიაზიკი** სტეფანე ალექსის-ძე — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მერესპირატორე.
8. **ლობეანია** მამია ერმალოს-ძე — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მერესპირატორე.
9. **მარგოშია** ვლადიმერ ანდროს-ძე — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მერესპირატორე.
10. **რევნიუკი** ივანე თანასეს-ძე — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის ქვეგანყოფილების მეთაური.
11. **სუეკაკი** ნიკოლოზ დიმიტრის-ძე — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მერესპირატორე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1967 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გასამხედროებული სამთო მაშველი ნაწილების ქვეგანაყოფების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 2 შახტში მოწისქვეშა ხანძრის ჩაქრობისას თავგანწირვისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ტყიბულის** 45-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმი.
2. **ტყვარჩელის** 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმი.
3. **გოროლოკის** I გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმი.
4. **დონეცკის** ოპერატიული გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის რუტჩენკოვკის მე-4 ოცეული.
5. **მაკეევკის** მე-3 გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის ოპერატიული ოცეული.
6. **შახტისკის** გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მე-8 ოპერატიული ოცეული.
7. **გუკოვის** გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მე-12 ოპერატიული ოცეული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1967 წლის 6 ივნისი.

კომუნისტი

№2-2 გვერდი, ხუთშაბათი, 8 ივნისი, 1967 წ.

იაპონელი მეტალურგები საქართველოში

ქართველ მეტალურგებთან სტუმრად არიან იაპონელი კოლეგები, მეორე დღეა რესპუბლიკაში იმყოფება იაპონიის მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ეროვნული ფედერაციის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილე კაცუნიკო ისიდა, იოვატის კომპანიის მეტალურგთა პროფკავშირის განათლებისა და ინფორმაციის განყოფილების გამგე ტაკაო ხივატარი, ნიპონ კოკუნის კომპანიის მეტალურგთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე ტომეგორო ოგატა, ოსაკის „სუმიტომო მეტალის“ გაერთიანების მეტალურგთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე მოტოიტი ტონომურა, კობეს მეტალურგთა პროფკავშირის ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილე ტერუხარუ კავაშიტა, ოსაკის მეტალურგთა პროფკავშირის თავმჯდომარე გორო მასუმატო.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლებს. კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ზ. ცირეკაძემ სტუმრებს გააცნო პროფკავშირული მუშაობის ფორმები და მეთოდები, პასუხი გასცა მათ შეკითხვებზე.

იაპონიის მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილემ კაცუნიკო ისიდამ დამსწრეთ გააცნო ფედერაციის მუშაობა, ილაპარაკა, თუ როგორ იბრძვიან პროფკავშირები მუშათა უფლებებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ბაბაროვს



მასპინძელია მგირი მოსკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოველთა ქეთილი სურვილები

მეგობრობის მაგისტრალი

ი. პეტროვსკი,

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ძველი და მტკიცე კავშირი აქვს საქართველოს მეცნიერებთან. ბევრი მათგანი, თავისი მეცნიერული მიღწევებით არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც ცნობილი, ამ უნივერსიტეტის აღზრდილია.

მათ შორის უნდა დავასახელოთ ა. მ. რაზმაძე, რომლის სახელიც ეწოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტს, გ. ხ. ჯოლოშვილი, აკადემიკოს პ. ს. ალექსანდროვის მოწაფე, და სხვები. უნივერსიტეტის ბევრი უოფილი სტუდენტი, მხცოვანი მეცნიერი რომ გახდა, არ წყვეტს თავის ძველ კავშირს ალმა მატერთან, კითხულობს აქ ლექციებს, უძღვება სემინარებს, უნივერსიტეტის სტუდენტთა არაერთი თაობა მეცადინეობს წიგნებით, რომლებიც დაწერილია ჩვენი ქართველი კოლეგების, მაგალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნ. ი. მუსხელიშვილის ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ი. ნ. ვეკუას მიერ, რომელიც, აქვე უნდა ვთქვათ, რამდენიმე წელიწადს ასწავლიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტში სწავლობენ ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენლები. მხედველობაში მყავს არა მარტო ისინი, ვინც უნივერსიტეტში პირველ კურსზე შემოვიდა. ჩვენ ვამზადებთ მეცნიერთა ეროვნულ კადრებს, რესპუბლიკური უმაღლესი სასწავლებლების უფროსი კურსებიდან ვარჩევთ ყველაზე ნიჭიერ სტუდენტებს, რათა ისინი დაეუფლონ დღევანდელი მეცნიერების უახლეს მიმართულებებს.

40-ზე მეტი თბილისელი სტუდენტი ჩვენთან იღებს სპეციალიზაციას მიკრობიოლოგიის, ბიოფიზიკის, ბიოქიმიის დარგებში, რათა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ეს დარგები რესპუბლიკაში განვითაროს.

თბილისში ამას წინათ მიმდინარეობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილების გამსვლელი სესია, რომელსაც დაესწრნენ მოსკოვის უნივერსიტეტს მეცნიერები. ასეთ შეხვედრებს უეჭველი სარგებლობა მოაქვს, და ჩემი სურვილია, რომ ისინი რაც შეიძლება ხშირად ეწყობოდეს.

გამარჯობათ, ძმეგო!

პ. ვასილიევი,

რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,

ყველა მოსკოველისათვის საამაყოა, რომ ნამდვილი მეგობრული მასპინძლობა გაუწიეს მათს წარგზავნილებს თბილისელებმა მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებში, რომელიც ამას წინათ გაიმართა საქართველოს დედაქალაქში.

დღეს კი მოსკოველები ეგებებიან მზიური საქართველოს წარგზავნილებს.

მოსკოვის საზვინი ხელოვნების ყველა ოსტატის სახელით გულითადად მიეესალმები საქართველოს წარგზავნილებს და დიდ სარმატებებს ვუსურვებ მათ.

მოსკოველები კარგად იცნობენ და უყვართ საქართველოს ჭეშმარიტად ბრწყინვალე ხელოვნება. ვფიქრობ, ამ დღეებშიც მაღალ ხელოვნებას გვიჩვენებენ ჩვენი სამხრეთელი მეგობრები.

საქართველოს დღეები მოსკოვში შესანიშნავია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული ხელოვნების ეს გაცნობა მარტო ივნისის დღეებით არ შემოიფარგლება.

წინ საკავშირო ჩამხატვრო სიიუბილეო გამოფენაა. იქ კვლავ შეეხვდებით ერთმანეთს.

ძალე ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხნის ახლოს გაიხსნება გ. ი. ლენინის ძეგლი, რომლის ავტორია საქართველოს სახალხო მხატვარი ვ. თოფფურიძე.

წინ არის მრავალი მეგობრული შეხვედრა.

გუნდი ვივცვეთ გუნდისათვის

მ. ჟაროვი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

როცა თბილისში მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების საზეიმო გახსნაზე სიმფონიური ორკესტრის ძლავრი აკორდები გაისმა და სიმღერა აგუგუნდა, ჩვენ ყველამ ვიგრძენით, რომ ჩვენი გული ქართველ მეგობართა გულთან შეწყობილად ძგერს.

ახლა გულითადი სითბოთი მოვეალით მათ ჩვენთან და დარწმუნებული ვართ, რომ მათი ჩამოსვლა გაგრძელება იქნება თბილისში დაწყებული სიმღერისა, რომელიც ყველამ აღტაცებით მიიღო.

ჩვენ მოგველის გაცნობა ნიჭიერი ქართველი ხალხის ხელოვნების შესანიშნავ ოსტატებთან, იმ ხალხისა, რომელიც სამართლიანად ამაყობს თავისი ძველი კულტურით. ზაქარიაძის, ხორავას, ვასაძის, ჯაბუკიანის, ამირანაშვილის და ქართული ხელოვნების ბევრი სხვა ჯამორენილი მოღვაწის სახელებს კარგად იცნობენ მოსკოველები. ჩვენ ყველანი ღრმად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ქართველი მეგობრების საპასუხო ვიზიტი ჩვენთან კიდევ უფრო შეადუღაბებს ჩვენს მეგობრობას, და ჩვენ სულით და გულით მოხარული ვიქნებით მივესალმოთ მათ ჩვენს ქალაქში.

მოსკოვში საქართველოს სსრ კულტურისა და ხელოვნების დღეები გახდება კიდევ ერთი მკაფიო ფურცელი რუსი და ქართველი ხალხების კულტურული ურთიერთობის ისტორიაში.

დიდი სიამოვნებით გადავცემ ჩვენს ძვირფას სტუმრებს სალამს მოსკოვის ხელოვნების ყველა მოღვაწისაგან და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოებისაგან.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ასე იფარდა!

□ 1917 წელს ქალაქის ტერიტორია 17,7 ათას ჰექტარს შეადგენდა. იგი რამდენჯერმე გაიზარდა და ახლა მას 88,5 ათასი ჰექტარი უჭირავს.

□ **საბჭოთა ხელისუფლების** წლებში მოსკოვის მოსახლეობა 2,5-ჯერ გადიდდა, ხოლო ბინების რაოდენობა 7,5-ჯერ.

□ **ქალაქის** მრეწველობა აწარმოებს 116-ჯერ მეტ პროდუქციას. ბიდრე რევოლუციამდე უშვებდა.

□ **ყოველ** ხამ წელიწადში მოსკოვში შენდება იმდენი საცხოვრებელი ფართობი, რამდენსაც ქალაქის რევოლუციამდელი საცხოვრებელი ფონდი შეადგენდა.

□ **50 წლის** წინათ ქალაქში ცენტრალური გათბობა ჰქონდა საცხოვრებელი ფონდის 22 პროცენტს. ახლა აქვს 90,8 პროცენტს.

□ **საბჭოთა** ხელისუფლების წლებში მოსკოვი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი დედაქალაქი გახდა.

□ **ამჟამად** მოსკოვი ხარჯავს რამდენჯერმე მეტ ენერგორესურსებს, ვიდრე მეფის რუსეთი აწარმოებდა.

□ **საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა მეტროპოლიტენი, რომლის ხაზების სიგრძე 128 კილომეტრია.**

□ **შეიქმნა** ტროლეიბუსების, ავტობუსებისა და ტაქსომოტორების მეურნეობანი. საქალაქო **ტრანსპორტს** დღეღამეში 12 მილიონი მგზავრი გადაყავს.

□ **ნახევარ საუკუნეში** საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა 9-ჯერ გადიდდა.

□ **1917 წელს** იყო **20** უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც 34 ათასი სტუდენტი სწავლობდა. დღეს 73 უმაღლეს სასწავლებელში 280 ათასი სტუდენტია. 305 ათასი დაუსწრებლად სწავლობს. სკოლებში 7-ჯერ მეტი მოსწავლეა, ვიდრე რევოლუციამდე იყო.

როგორც საკუთარ ოჯახში

ნ. კარპოვი,

მოსკოვის ქარხანა „კალიბრის“ მუშა, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თითქმის თვეზე მეტია ჩვენი ქარხნის კოლექტივმა სიხარულით შეიტყო, რომ ივნისში სტუმრად გვეწვევიან საქართველოს დედაქალაქის წარმოგზავნილნი.

სიმართლე გითხრათ, ამ ერთმა თვემ როგორ გაირბინა, არც გაგვიგია. ახლა უკვე ყველაფერი გარკვეულია. ჩვენი ძმური სტუმარ-მასპინძლობის დღედ დანიშნულია 9 ივნისი. ჩვენი ქარხნის მუშები ფრიად ხასიამოვნები კართ, რადგან ქართველ მეგობართან ეს სტუმრობა ეიწრო შინაურულ საქარხნო შეხვედრად არ დარჩება. საკავშირო ტელევიზიის საშუალებით იმ სამახსოვრო წუთებში ჩვენთან ერთად იქნებიან მილიონობით ადამიანები.

ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ პატარა წერილით, რომელიც, როგორც თბილისელმა კორესპონდენტებმა მითხრეს, რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდება, საშუალება მეძლევა გულითადად მივესალმო საქართველოს ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებს, ვუსურვო-მათ წლევანდელი — საიუბილეო წლის სასახელოდ დამთავრება, ახალი შრომითი გამარჯვებების მოპოვება, პირადი ბედნიერება და სიხარული.



მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა ლენინის პროსპექტზე. ჩანახატი ვ. კობელევისა.

საქართველო ჩემი სიყვარულია

მ. გრომოვა,

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი

გასული წლის შემოდგომაზე მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაია ქუჩაზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ძეგლი.

„როგორც პომეროსი ელადაა, დანტე — იტალია, შექსპირი — ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი — ესპანეთი, ისე რუსთაველი საქართველოა“, წერდა რუსთაველის პოემა, „ვეფხისტყაოსანის“ რუსულ ენაზე პირველი მთარგმნელი კონსტანტინე ბალმონტი.

საიუბილეო ზეიმის დღეებში პირველად მოვისმინე პოემა ქართულ ენაზე, და რუსთაველის ლექსმა გამაოცა თავისი სილამაზით, მელოდიურობითა და ძალით. სწორედ მაშინ დამებადა სურვილი შევდგომოდი იმ პოეტის შემოქმედების შესწავლას, რომლის ხმა რვა საუკუნის შემდეგაც კვლავ აღელვებს ადამიანებს.

ძალიან დიდი დახმარება გამიწია უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის კათედრის პროფესორმა ა. ა. ზარიფმა, რომელიც საქართველოშია დაბადებული. იგი ჩემი მეცნიერი ხელმძღვანელი გახდა. და აი უკვე გავლილია ფილოლოგიური ფაკულტეტის მეხუთე კურსი. რამდენიმე დღის წინათ დავიცავი დიპლომი თემაზე „რუსთაველის შემოქმედება“.

გადაწყვეტილ შემდეგში ვიმუშაო მთლიანად აღმოსავლეთის და პირველ რიგში ქართული ლიტერატურის შესწავლაზე.

ვოცნებობ იმაზე, რომ ვისწავლო ქართული ენა.

ქართული მრავალქამიერი

ნამდვილი გზადასავალი

ო. თაქთაქიშვილი,

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

დღეისათვის ყველას კარგად ესმის მუსიკის მნიშვნელობა. საზჭოთა ადამიანებისათვის კლასიკური. მუსიკა უკვე ალარ წარმოადგენს „ფილოსოფიას“. ეს კომპოზიტორთა შრომის, ძიების დიდი აღიარებაა, რომელზეც ყველა დროის დიდი მუსიკოსი ოცნებობდა. „სულით და გულით მსურს, რომ ჩემი მუსიკა სულ უფრო და უფრო ფართოდ გავრცელდეს“, — წერდა დიდი რუსი კომპოზიტორი ჩაიკოვსკი, რომელიც მუსიკის განუმეორებელი სამყარო შექმნა და ხალხს უანდერძა.

ჩვენი საბჭოთა კომპოზიტორების სმენას სწორედ ამ გენიოს კლასიკოსთა ფესვმგარი ნოტები გადმოედო და ახალი ძალით აეფეფერა. თანამედროვე ცხოვრების თემატიკით შეიჭრნენ ისინი მუსიკის სამყაროში და მანამდე არნახული სიფართოვე და ნაირფეროვნება შეიტანეს მასში.

რუსმა კლასიკოსებმა გვიჩვენეს ყველა ხალხთა ხელოვნების პატივისცემის მშვენიერი მაგალითი. ალბათ, არც არის საჭირო დეტალურად ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ამ სტუმარ-მასპინძლურმა ტრადიციამ ჩვენს დროში, როცა უკვე ერთიან ოჯახში ვცხოვრობთ, ერთი მიზნები და მისწრაფებები გვამოძრავებს.

ქართველი კომპოზიტორები ყოველთვის იყვნენ ერთგული ამ წმიდა სტუმარ-მასპინძლობისა, და დღეს, როცა ქართველები მოსკოვის სტუმრები არიან, გვიხდება ხმამაღლა ვთქვათ ეს, ყველას გასაგონად.

ქარგი დღეები

იოსებ ხაზარაძე,

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობი, სოციალისტური შრომის გმირი.

ყველაფერი, რაც კი დიდი ოქტომბრის შემდეგ განვლილ ამ ნახევარ საუკუნეში ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით შეგვიქმნია, საბჭოთა ადამიანების ძმობისა და ურთიერთდახმარების შესანიშნავი ნაყოფია და ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით არის გაცისკროვნებული.

ხალხთა მეგობრობის სიმბოლოა თუნდაც ჩვენი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომლის პირველი ავტომობილის თითქმის ყველა კვანძი

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. სურათებზე: მთავარი შესასვლელი და შადრევანი „ქვის ყვავილი“. ფოტოები ა. კონკოვისა და ვ. შანდრინისა, (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მოგრძანდით, გელით!

მოსკოვში ჩასულ ყოველ ადამიანს ორი უპირველესი საზრუნავი აქვს: კიდევ და კიდევ მოინახულოს წითელი მოედანი, მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მარადიული სამყოფელი, თვალი შეავლოს კრემლის ჭაღარა კედლებს და მისი სახით პატივი სცეს რუსი ხალხის წარსულს, ხოლო შემდეგ გაეშუროს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისაკენ, რათა ერთხელ კიდევ თვალნათლივ დარწმუნდეს, თუ რას მიაღწია საბჭოთა ქვეყანამ, ჩვენმა გმირმა ხალხმა კაცობრიობის ისტორიის უაღრესად მცირე დროში — ნახევარი საუკუნის მანძილზე.

წელს აქ ყველაფერი ეძღვნება საბჭოთა სახელმწიფოს ორმოცდაათწლიანი ისტორიის გზის, მისი დღევანდელი ყოფისა და მომავლის დიადი გეგმების ჩვენებას.

გამოფენაზე, რომლის საექსპოზიციო ფართობი გასული წლის 107,4 ათასი კვადრატული მეტრიდან საიუბილეო წელს 138,8 ათას კვადრატულ მეტრამდე იზრდება, იმუშავებს 72 პავილიონი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საერთო მიღწევები, ის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ნაჩვენები იქნება ცენტრალურ პავილიონში და ცენტრალურ ხეივანზე. დანარჩენი პავილიონები გაგვაცნობენ საბჭოთა ქვეყნის მიღწევებს სსრ კავშირის ხალხთა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და კულტურულ ცხოვრებაში.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას ხშირად უწოდებენ ქალაქ-ბაღს. მცენარეულობას გამოფენაზე 132 ჰექტარი უჭირავს. საიუბილეო წელს საგამოფენო ქალაქის მწვანე სამოსელი უფრო მშვენიერი, სადღესასწაულო და მდიდრული. თვალს ახარებს გამოფენის მრავალფეროვანი ყვავილნარი: 70 ათასამდე ვარდის ბუჩქი, ორ მილიონამდე გეორგინი, ფლოქსი, ტიტა, გლადიოლუსი და სხვ. ამათ გარდა საიუბილეოდ აქ წარმოდგენილი იქნება სამამულო და საზღვარგარეთული სელექციის 40 ათასამდე საუკეთესო ყვავილი (დაახლოებით 900 ჯიში).

1 ივნისიდან გამოფენაზე დაიწყო მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნული კვირეულები. სადღესასწაულო ესტაფეტას ერთმანეთს გადასცემენ სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, უკბეკეთი, ტაჯიკეთი, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია, მოლდავეთი. მეგობრობის ამ დიდ დათვალიერებას დაამთავრებენ უკრაინა და რსფსრ. თვითეული რესპუბლიკა გამოფენაზე თავისებურ ანგარიშს წარმოადგენს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებზე. პავილიონებში, დარბაზებში, ღია მოედნებზე თავიანთ მუშაობაზე ილაპარაკებენ გამოჩენილი მეცნიერები, წარმოების ნოვატორები და მოწინავენი, საკოლმეურნეო სოფლის სახელოვანი მშრომელები.

ამ ეროვნული კვირეულების განმავლობაში გამოფენა გადაიქცევა უზარმაზარ საკონცერტო დარბაზად. გამოფენის დამთვალიერებელთა წინაშე შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგებიან პროფესიული და თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები, თეატრის, კინოს, ცირკის, ესტრადის მსახიობები, მუსიკოს-შემსრულებლები.

გამოფენაზე მოსულებს საშუალება ექნებათ შეიძინონ მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენელთა ახალი წიგნები ავტოგრაფებით, გაეცნონ მხატვართა ახალ ნამუშევრებს, მონაწილეობა მიიღონ შეხვედრებში მწერლებთან და პოეტებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან, გაეცნონ ეროვნული სპორტის მრავალ სახეობას, შეიძინონ სუვენირები.

მრავალფეროვანია საქართველოს სსრ კვირეულის პროგრამა. გამოფენები, სტენდები, ციფრები და ფაქტები დამთვალიერებლებს დამაჯერებლად მოუთხრობენ, რომ საბჭოთა საქართველო მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკაა, რომ მას საბჭოთა კავშირში მესამე ადგილი უჭირავს ფოლადის, ნავლინის, შავი ლითონების წარმოების მხრივ, რომ თოელ საბჭოთა კავშირში მოკრეფილი ჩაის 95 პროცენტი საქართველოზე მოდის, რომ რესპუბლიკაში ყოველ 10 ათას სულ მცხოვრებზე 35 ექიმია, რომ ქართველი მეცნიერების გამოკვლევებმა ატომური ფიზიკის, მათემატიკის, ასტრონომიის, ბეოფიზიკის დარგებში ფართო ალიარება მოპოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ...

ამ დღეებში გამოფენაზე საქართველო წარმოდგენილი იქნება მრავალ პავილიონში შემდეგი განყოფილებებით: რადიოტექნიკა; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია (აქ მნახველები გაეცნობიან ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“); მეცხვარეობა; მარცვლეულის შენახვა და გადამუშავება; ფიზიკა; ბიოლოგია; საბჭოთა კულტურა (თეატრალური სპექტაკლების დეკორაციების ესკიზები, ეროვნული მუსიკალური საკრავები, კერამიკული ნაწარმი); საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა; სახალხო განათლება; პროფესიულ-ტექნიკური განათლება. გამოფენაზე საამწვადე „იუნენაიას“ საზაფხულო ბავილიონში 28 ივნისამდე სტუმრებს ელვის რესტორანი „საქართველო“.

მოეწყობა მრავალრიცხოვანი შეხვედრები, საუბრები, ლექციები, კონსულტაციები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, წარმოების ნოვატორებთან, მეცნიერებთან.

ქართველი კულტურის მოღვაწეები, მეცნიერები, სპეციალისტები პავილიონებში წაიკითხავენ ლექციებს, გამართავენ საუბრებს. აი მათი თემატიკა: **ოქტომბრის რევოლუცია და საქართველო, საქართველო გუშინ, დღეს, ხვალ, რესპუბლიკის ეკონომიკა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, საბჭოთა საქართველოს კულტურა, მუსიკალური, სახვითი ხელოვნება, თეატრი, სახალხო განათლება, სახალხო მეურნეობის განვითარება, მედიცინა, სუბტროპიკული მეურნეობა** და სხვ.

გამოფენაზე გაიმართება შეხვედრები ქართველ მწერლებთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივის წარმომადგენლებთან, კულტურის სახლში და დიდ კინოდარბაზში ნაჩვენები იქნება ქართული კინოფილმები, დედაქალაქის ძერჟინსკის სახელობის რაიონის (რომლის ტერიტორიაზეც გამოფენა მდებარეობს) მშრომელები შეხვდებიან საქართველოს დელეგაციას.

გამოფენის ცენტრალური ესტრადა ხუთი დღის განმავლობაში ეთმობა საქართველოს პროფესიულ და თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებს. მაყურებლებს აქ თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ თბილისის კულტსაგანმანათლებელო სასწავლებლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი, თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „დელო“, საესტრადო ორკესტრი „რერო“ და სხვ. კონფერენც-დარბაზში მოეწყობა თბილისის მოდელების სახლის ტანსაცმლის მოდელების ჩვენება.

ასე რომ ერთი კვირის მანძილზე მოსკოვი და მისი მრავალრიცხოვანი სტუმრები გამოფენაზე შეძლებენ საკმაოდ სრულად გაეცნონ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, მის სახალხო მეურნეობას, მეცნიერების მიღწევებს, ლიტერატურასა და ხელოვნებას, საყოფაცხოვრებო კულტურას...

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მზად არის საქართველოს წარმოგზავნილთა მისაღებად. „ჯმთილი იყოს თვალი სტუმრობა საბჭოთა ძვეყნის გულში — მოსკოვში“ — ასეთი გულითადი სიტყვებით ეგებება დედაქალაქი ქართველ მეგობრებს.

ლ. კიკნაძე,
ო. ლორთქიფანიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.
ქ. მოსკოვი.

მოსკოვის საავტომობილო ქარხნიდან მოდიოდა და რომლის პირველი კადრები რუსი ავტომშენებლების ძმური და უანგარო დახმარებით აღიზარდნენ.

ამ დღეებში, საბჭოთა ხელისუფლების სახელოვანი იუბილეს წინ, კიდევ უფრო ახალი ძალით აჩინა თავი ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის ურღვევი მეგობრობის, რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მარადიული ძმობის ძალამ და უძლეველობამ. ამის ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, ხოლო შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების მეგობრობის დღეები თბილისში და ახლა ამის კიდევ ერთი დემონსტრაციაა საქართველოს დღეები ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, რომლის მონაწილეთა შორის ჩვენს ნიჭიერ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან ერთად, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლებიც არიან.

„საქართველოს დღეები“ მოსკოვში დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, და ჩემთვის დიდი ბედნიერებაა ვიყო ქართველი ხალხის წარგზავნილთა შორის.

სულით და გულით მივესალმები ჩვენს გულღია, ძვირფას მასპინძლებს.

უფრო განმტკიცდება

გ. წითლიძე,

მახარაძის რაიონის ნატანების შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე

მოსკოვში, ჩვენი ქვეყნის გულში სტუმრობა ყოველთვის ღირსშესანიშნავი მოვლენაა, და ახლაც, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინა დღეებში, საქართველოს წარმომადგენელთა ჩასვლა საამაყოც არის და პასუხსაგებიც. საამაყოა იმიტომ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქის მშრომელები გაეცნობიან ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, პასუხსაგები იმიტომ, რომ ჩვენ ერთგვარი ანგარიშით უნდა წარვსდგეთ მეტად მაღალგემოვნებიანი და ზომთხოვნი მაყურებლის წინაშე.

მეამაყება, რომ ამ დელეგაციის შემადგენლობაში მეც ვარ. შესაძლებლობა მეძენება არა მარტო ვნახო თანამოძმეთა ხელოვნება, არამედ მოსკოველ მაყურებელთა აზრიც მოვისმინო.

ეს კარგი და სასარგებლო ღონისძიებაა საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, საერთო საქმის შემდგომი წინსვლისა და გამარჯვებისათვის.

ამას წინათ ჩვენი კოლმეურნეობა შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. ეს მაღალი ჯილდო ჩვენი კოლმეურნეების შრომის დიდი შეფასებაა, და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საიუბილეო წელს უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ, ახალ-ახალი გამარჯვებებით გავახაროთ დედა-სამშობლო.

ფოტოგამოფენა „ჩემი მოსკოვი“



ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მხატვრული და დოკუმენტური ფოტოსურათების გამოფენა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავისადმი.

საიუბილეო ფოტოგამოფენა „ჩემი მოსკოვი“ ასახავს მოსკოვისა და მოსკოველთა ცხოვრებას, ქარხნებსა და ფაბრიკებს, გრანდიოზულ ახალშენებლობებს, ქუჩებს, მრავალრიცხოვან სკვერებს, ადამიანთა საქმიანობას, ერთი სიტყვით, დედაქალაქის ცხოვრების მაჯისცემას, მის ყოველ მხარეს.

გამოფენაზე წარმოდგენილია 1.800 ნამუშევარი, გაკეთებული ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე მრავალი საბჭოთა ფოტოკორესპონდენტისა და ფოტომოყვარულის, აგრეთვე უცხოელი ავტორების მიერ. მნახველი გამოფენაზე თვალს გადაავლებს ფოტოობიექტივით მოსკოვის ცხოვრებაში აღბეჭდილ ისტორიულ მომენტებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე და თვალნათლივ დარწმუნდება, თუ რამდენი რამ არის გაკეთებული ამ ისტორიულად მოკლე დროის მანძილზე. როგორ გაიზარდა და დამშვენდა დედაქალაქი, როგორ გამოიცვალნენ ადამიანები...

საკდესის ფოტოქრონიკის სურათებში, რომლებსაც დღეს ვაქვეყნებთ, აღბეჭდილია რამდენიმე ექსპონატი საიუბილეო გამოფენიდან „ჩემი მოსკოვი“. მარცხენა სურათზე ასახულია ფოტოკორესპონდენტ ვ. კოშევოის მიერ გადაღებული სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრავალსართულიანი შენობა, ზემო სურათს, რომელიც ე. უმნოვს ეკუთვნის, ასეთი წარწერა აქვს — „ბედის ტბა“; მარჯვენა ზემო სურათი კი უცნობ ავტორს ეკუთვნის. სურათი გადაღებულია 1920 წელს მოსკოვის ერთ-ერთ კომუნისტურ შაბათობაზე. მარჯვნივ ზემო კუთხეში გამოხატულია ემბლემა გამოფენისა „ჩემი მოსკოვი 1917-1967“; მარჯვნივ კი ს. პრეობრაჟენსკის ფოტოსურათია, რომელსაც ჰქვია „ძველა გზა მოსკოვში მიდის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წყალსადენი

ადიგენის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთ სოფელს წახნს ზაფხულობით სასმელი წყალი არ ყოფნიდა, რაც გამოწვეული იყო წყალსადენი მილების დაზიანებით.

მეურნეობის ახალმა ხელმძღვანელობამ (დირექტორი ნ. კოხოძე) გადაწყვიტა წყალსადენის დაზიანებული მილები შეეცვალა. წახნის ბრიგადა კ. ღომაშვილის ხელმძღვანელობით უკვე შეუდგა არხის გათხრასა და ახალი მილების ჩაწყობას.

წყალსადენის მშენებლობაზე აქტიურად შრომობენ მეურნეობის მუშები: ნ. მურჯიკნელი, ბ. ქობულია, მ. ჯიშკარიანი, მ. მელიქიძე, გ. პარუნაშვილი, გივი და რევაზ ღვიტიძეები და სხვები.

წყალსადენის მშენებლობა, რომლის სიგრძე ერთი კილომეტრია, მალე დამთავრდება. („კომუნისტის“ კორ.).

ანთიმოზ ივერიელის ხსოვნას

თბილისში გაიმართა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და მოაზროვნის ანთიმოზ ივერიელის გარდაცვალების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამო მოაწყვეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს. განყოფილებამ, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ლიტერატურის სექციამ და რესპუბლიკის მწერალთა კავშირმა.

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი მ. კვეტელაძე თავის მოხსენებაში შეეხო XVII-XVIII საუკუნეების რუმინეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნების შესანიშნავი წარმომადგენლის ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად ეტაპებს.

მოხსენება „ანთიმოზ ივერიელი და პირველი ქართული სტამბა“ გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ.

რუმინეთში ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის და საქართველოსთან მისი ურთიერთობის შესახებ ილაპარაკეს თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ფ. ჯინჯიხაშვილმა და თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა ვ. მაჭარაძემ. (საქდისი).

მკითხველთა კალმით

სასქოლო ცხოვრება

□ **ბათუმის** შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა ფიზიკის მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მოაწყეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრებმა.

კონფერენციის მუშაობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი მათე მირიანაშვილი, მონაწილეობდნენ აჭარის, მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის სკოლების ფიზიკის მასწავლებლები.

მ. ბიორბაძე.

□ **თერჯოლის** რაიონის თუზის საშუალო სკოლის კოლექტივმა შეხვედრა მოაწყო დიდი სამამულო ომის მონაწილეებს ი. ჩაფიჩაძეს, ა. მაჩიტიძეს, პ. ცხოვრებაძეს, შ. მაჩიტიძეს, კუნძულ ტექსელზე ქართული ბატალიონის აჯანყების მონაწილეს მ. მიხელიძეს და სხვებს.

მოხსენება „ქართველი ხალხი დიდ სამამულო ომში“ წაიკითხა ისტორიის მასწავლებელმა კ. თურქაძემ.

გ. რობაქიძე.

□ **ასპინძის** რაიონის სოფელ ტოლოშის საშუალო სკოლის პიონერულმა ორგანიზაციამ (უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. ნადირაძე) შექმნა პიონერული რაზმი, რომელიც ეხმარება მშობლიური კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს. რაზმი დახმარებას უწევს აგრეთვე სოფლის მოხუცთა და ინვალიდთა ოჯახებს.

ნ. გვარამაძე.

„საქართველოს აგიტატორი“ № 11

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეთერთმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია წერილები: **ს. ჩხარტიშვილი** — არის ასეთი პარტიას; **რ. მეტრეველი** — ოქტომბერი და ახალგაზრდობა; **გ. ბარამიძე** — სახელოვანი გზა; **მ. არაშიძე** — ოქტომბრის თანატოლი; **ლ. საყვარელიძე** — მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე; **ი. ტაბიძე** — პარტიის პოლიტიკა — თვითეული ადამიანის გონებასა და გულამდე; **ნ. დვალი** — რეფორმის პირველი შედეგები, ახალი ამოცანები; **მ. წეროძე** — საწარმოო თათბირი — წარმოების სრულყოფის საშუალება; ევროპის ქვეყნები.

ტელევიზია

8 ივნისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად. ლექცია ქიმიაში, 10.40 — მხატვრული ფილმი „იმათ მხოლოდ სახით იცნობდნენ“, 12.10 — საქართველოს კვირეული მოსკოვში — სატელევიზიო ჟურნალი ოქტომბრელთათვის „ენერგია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — „პიონერული ახალი ამბები“, 18.10 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ჩვენ ინგლისურად ვლაპარაკობთ“ (სტუდიაში — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები), 18.40 — საქართველოს კვირეულის გახსნა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — გადაცემა „ქართული სიმღერის ოსტატი სოფიო ჭოლოკავა“, 19.50 — გაზეთსადებები, 19.55 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.15 — მხატვრული ფილმი „უფროსი და“, 21.55 — გადაცემათა პროგრამა 9 ივნისისათვის, 22.00 — საქართველოს კვირეული მოსკოვში — საქართველოს ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

9 ივნისი

09.30 — კინონარკვევები, 10.30 — მხატვრული ფილმი „უფროსი და“, 12.10 — სატელევიზიო ჟურნალი „საბჭოთა კავშირის სტანდარტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო საგაზეთო „პიონერია“ (გადმოცემა კრასნოდარიდან), 13.00 — „მეგობრების შეხვედრა“ — საქართველოს წარმომადგენლები ქარხანა „კალიბრში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — საქართველოს კვირეული მოსკოვში — ეროვნული ზეიმის გახსნის ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენიდან — საზეიმო სვლა, საქართველოს სსრ ალმის აღმართვა და დიდი კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან). შესვენების დროს — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ირმის ნახტომი“, 21.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.00 — მხატვრული ფილმი „მათ მხოლოდ სახით იცნობდნენ“.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 საათიდან, საღამოს 17 ს. 55 წ.

თეატრები

8 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (მე-15 აბონ. მე-6 წარმოდგენა), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ვისია ვინსი? ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი მშვენიერი ლედი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი (№ 34 და № 37 აბონ. საღ. 6 ს.).

დევისის თასზე

გუშინ მოსკოვში ჩვენი ჩოგბურთელები, რომელთა რიგებში არიან სსრ კავშირის ჩემპიონი ა. მეტრეველი, თ. ლეიუსი, ს. ლიხაჩოვი და ვ. ეგოროვი ჩაებნენ დევისის თასის გათამაშების მორიგ ტურში. ამჯერად მათი მეტოქენი არიან ჩილის ჩოგბურთელები — ჰ. როდრიგესი, ჰ. პინტო-ბრავო, ჰ. კორნეხო და ე. აგირე.

წინადღით მოეწყო წილისყრა. პირველი და მესამე დღე დათმობილი აქვს ერთეულთა ასპარეზობას, მეორე დღე — წყვილთა შეჯიბრებას. სტარტზე ა. მეტრეველის მეტოქე იყო ჰ. პინტო-ბრავო, თ. ლეიუსისა — ჰ. როდრიგესი. ორივე შეხვედრაში წარმატება საბჭოთა ჩოგბურთელებს ხვდათ. ანგარიშია 2:0. დღეს გაიმართება წყვილთა შეჯიბრება.

არმიელთა წარმატება

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „დინამოს“ ფრენბურთელ ქალთა გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ორივეჯერ გაიმარჯვეს არმიელებმა და თასი მოიპოვეს.



მზადება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის

მეოთხე საიუბილეო

საქართველოს მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადის ოფიციალურ გახსნამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა. მიმდინარეობს უკანასკნელი მზადება. 11 ივნისს ფინალისტებს ვიხილავთ „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

ზოგიერთ სახეობაში სპარტაკიადის გახსნამდე ამოიწურა შეჯიბრება, გამოვლინდნენ ჩემპიონები, დაკმაყოფილდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, რომლებიც ახლა შეკრებაზე იმყოფებიან და ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადისათვის.

ეს სახეობებია — მრავალდღიანი ველორბოლა, ფრენბურთი, ცხენოსნობა, აფრისნობა, ტანვარჯიში, კრივი, ბრძოლაში ჩაებნენ ჩოგბურთელები, სტარტს იღებენ მცურავები, ტყვიის მსროლელები...

თბილისის „დინამოს“ კორტებზე დამთავრდა გუნდური ასპარეზობა ჩოგბურთში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 7 გუნდი.

გუშინ გაიმართა ფინალური შეხვედრა, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ქუთაისის გუნდები. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 7:1 და ჩემპიონები გახდნენ. მესამე ადგილი აფხაზეთის გუნდს ხვდა.

ნიჩბოსნებს პაექრობა ჰქონდათ თიანეთის რაიონში, სიონის „ზღვაზე“. მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, მცხეთის, ფოთისა და რუსთავის გუნდები. წარმატება თბილისელებს ხვდათ, რომლებმაც 260 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მცხეთელები, მესამეზე — ფოთელი ნიჩბოსნები.

მოსწავლეთა მეცხრამეტე

ფინიშს უახლოვდება საქართველოს მოსწავლეთა მეცხრამეტე სპარტაკიადა. გამარჯვებულებს, რომლებისგან დაკომპლექტდება რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, დასკვნითი პაექრობები ექნებათ ლენინგრადში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე.

რამდენიმე დღის წინათ სპარტაკიადის კიდევ ერთ სახეობაში დამთავრდა შეჯიბრება. ეს იყო ცურვა. სტარტზე გამოვიდა 250-მდე სპორტსმენი თბილისიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, რუსთავიდან, ტყიბულიდან.

„განთიადის“ საცურავ აუზში ნაჩუენები იქნა მაღალი შედეგები. გოგონათა შორის 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ლ. მარღანიამ საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — 1 წუთი და 24,5 წამი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში წარმატება თბილისის მცურავთა კოლექტივს ხვდა, რომელმაც 31,347 ქულა შეაგროვა. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს აჭარისა და აფხაზეთის გუნდებმა, რომლებიც თვალსაჩინოდ ჩამორჩნენ ჩემპიონს.

ამოიწურა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაც. გუნდურ შეჯიბრებაში ჩემპიონობა თბილისელებმა მოიპოვეს. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს აჭარისა და ქუთაისის მოჭიდავეებმა.

საჭადრაკო ტურნირები

მოსკოვი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეთერთმეტე ტურში სსრ კავშირის ჩემპიონი შტეინი აღმავლობით იბრძოდა იუგოსლავ გროსმაისტერ გლიგორიჩის წინააღმდეგ და 36-ე სვლაზე აიძულა მეტოქე თავი დამარცხებულად ეცნო. სპასსკი-ტალის, პეტროსიანის, სმისლოვ-ბიბლისის, ფეტისოვ-ბოგატიროვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ყურადღების ცენტრში იდგა გელერისა და პეტროსიანის პარტია. გელერმა ვერ შეძლო დებიუტში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება და პოზიციის სამჯერ გამეორებით პარტია ყაიმით დამთავრდა. **ფილიპ-ბილეკის** პარტია გადაადო.

ოერთმეტი ტურის შემდეგ ერთბოროვნული ლიდერი გახდა **ლ. შტეინი**, რომელსაც 7 ქულა აქვს.

ლენინგრადი. მეცამეტე ტურში საინტერესოდ წარიმართა **კორჩნოისა** და **ფუძსის** პარტია. წარმატება ხვდა საბჭოთა გროსმაისტერს, რომელიც დაეწია ხოლმოვს. **ბარცამ** ხლია **საბოს** და ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიდერებს.

13 ტურის შემდეგ წინ არიან **რ. ხოლმოვი** და **ვ. კორჩნოი**, რომლებსაც ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა აქვთ.

კიევი. მეთორმეტე ტურში მსოფლიოს ჩემპიონმა **გაფრინდაშვილმა** მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან დაამარცხა ჟელეზნიაკი. **ნიკოლაუმ** მოუგო **ალექსანდრიას, ბილეკმა — ასენოვას.**

12 ტურის შემდეგ **11**-დან **9** ქულით ლიდერობას **ნ. გაფრინდაშვილი ინარჩუნებს.**

რიგა. დამთავრდა ჭაბუკთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ათი ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობით. წარმატებით გამოვიდა საბჭოთა ოსტატი **ი. ბალაშოვი**, რომელიც **13** შესაძლებლიდან **11** ქულა შეაგროვა. **ვ. პუპრეიჩიკი 10,5** ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე იყო **რუმინელი დ. ბიზდავუ.** თბილისელმა **ა. ბოკუჩავამ** და **უნგრელმა დ. კენდემ** ექვს-ექვსი ქულით მეშვიდე და მერვე ადგილები გაიყვეს.

ერთმა ქულამ გადაწყვიტა

მონტევიდეო, 7 ივნისი. (საქდესის სპეციალური კორესპონდენტები ლ. მაქსიმენკო და პ. მიხალოვი). კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე დამყარდა ორნელისუფლებიანობა: მხოლოდ იუგოსლავიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს არ განუცდიათ ჯერ-ჯერობით დამარცხების სიმწარე.

წუხანდელ დაძაბულ, დრამატიზმით აღსავსე მატჩში, სპორტულ ბედმა ჩვენს ბიჭებს კი არ გაუღიმა, არამედ უცვლელ ოლიმპიელ ჩემპიონებს — ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებს. მატჩის დამთავრებამდე ორი წამით ადრე მათ მოიპოვეს ერთადერთი გამარჯვების ქულა (59:58).

არბიტრებმა **დიმოუმ** (საბერძნეთი) და **სიბორნმა** (კანადა) მოედანზე ბიბლიძეს საბრძოლო ხუთეული: სსრ კავშირი — **პაულაუსკასი, პოლივოდა, ლიპსო, სელიხოვი, საკანდელიძე;** ამერიკის შეერთებული შტატები — **ბენსონი, კენნედეიმი, მილერი, სილიმანი, რეინი.** ორივე გუნდი პირველი წამიდანვე იყენებს პრესინგს. განსაკუთრებით ზუსტად იცავენ თავს ამერიკელები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, ოღონდ საშუალება არ მისცენ მეტოქეებს ითამაშონ სწრაფი მანევრული სტილით. დაძაბულად მიმდინარეობს მთელი პირველი ტაიმი. ბევრი იყო საჯარიმოები. მეათე წუთზე, ძირითადად **პოლივოდასა** და **პაულაუსკასის** მეცადინეობით, ჩვენები ლიდერობენ — 13:9. ამერიკელებმა თანდათანობით აღადგინეს წონასწორობა შემდეგ კი დაწინაურდნენ 29:23.

შესვენების შემდეგ საბჭოთა კალათბურთელებმა უფრო სწრაფად და ყოჩაღად დაიწყეს თამაში. **პოლივოდას** შუა ტაიმში გუნდი წინ გაჰყავს. ანგარიშია 43:40. მაგრამ სხვაობის გადიდება ჩვენებმა ვერ მოახერხეს.

დაძაბულობა აპოთეას აღწევს, როცა მატჩის დამთავრებას აკლია 1 წუთი და 40 წამი. ანგარიშია ფრე — 54:54. და ამ დროს „ცილინდრის“ თაღებქვეშ სკანდალური ამბავი მოხდა.

ბურთი ჰქონდათ ამერიკელებს. დიდხანს, ძალიან დიდხანს ეძებდნენ ისინი, ჩვენს დაცვაში სუსტ ადგილს, მაგრამ ვერ იპოვნეს. მსაჯის მაგიდიდან გაისმა სიგნალი, რომელიც იუწყებოდა, რომ შეტევისათვის განკუთვნილი 30 წამი გავიდა. ბურთი საბჭოთა გუნდისაკენ უნდა გადასულიყო. ბუნებრივია, რომ ჩვენი ბიჭები შეჩერდნენ, როცა სირენის ხმა გაიგონეს. მიუხედავად ამისა, კანადელმა არბიტრმა ამის შემდეგ საჯარიმო დანიშნა. ჩაერივნენ ქრონომეტრისტი მსაჯები. ისინი მატჩის არბიტრებს იწვევენ თავიანთ მაგიდასთან და უხსნიან, რომ ბურთი უნდა გადაეცეს სსრ კავშირის გუნდს. **დიმოუ** და **სიბორნი** აუქმებენ საჯარიმოს და ნიშნავენ სტადიოს. მაშინ თავისი ადგილიდან წამოვარდა ამერიკელი მწვრთნელი ფიშერი და დემონსტრაციულად გაიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები მოედნიდან.

ამ დემარშმა დააბნია კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ბატონი **ჯონსი**, რომელიც ჩემპიონატის ტექნიკურ კომისიის მეთაურობს. იგი მხარს უჭერს იმას, რომ სსრ კავშირის ნაკრებს დაუნიშნონ ორი საჯარიმო, თუმცა მისი მოსაზრება ყოველგვარ ლოგიკურობას მოკლებულია. ამ გადაწყვეტილებას უკმაყოფილო დრტვინვით შეხვდნენ ტრიბუნები. მოედანზე გადაეცვივნენ გულშემატკივრები. ჩაერია პოლიცია. 20 წუთი დასჭირდათ, რომ წესრიგი დამყარებინათ და გაგრძელდეს მატჩი.

ორი საჯარიმოდან ამერიკელი **მილერი** ანადგურებს ერთს. წინაა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები — 55:54. ახლა ჩვენები უტევენ. **ტომსონი** აგდებს ბურთს და ისინი წინ არიან. ამერიკელები კვლავ აღწევენ წარმატებას, მაგრამ ოქვე ბურთს აგდებს ანტონევი და საბჭოთა გუნდი კვლავ წინაა — 58:57.

რჩება რამდენიმე წამი. ჩვენს ფარკვეშ ბრძოლის დროს ბურთი უვარდება **ბარტეის** და იგი ზუსტად მიზანში ახვიდრებს. მას. იქვე გაისმის ფინალური სიგნალი. დარბაზი სტვენით, ყვირილით აცილებს ამერიკელებს. კანადელი არბიტრი გასახდელში მიდის პოლიციელთა კორტეჟის თანხლებით.

ბრაზილია-პოლონეთის შეხვედრამ წარმატება მოუტანა მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს — 90:85.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

მონრეალი. მორიგ მატჩში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბორუსიამ“ დაამარცხა ბელგიის „სტანდარდი“ 1:0. დღეს საბჭოთა ფეხბურთელებს პაექრობა ექნებათ „ბორუსიასთან“. გამარჯვებული ფინალში გავა.

მოსკოვის „ტორპედოს“ შვეიცარიაში მორიგი მატჩი ჰქონდა ქ. ჰალმსტადის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. **ტორპედოელებიდან** გოლების ავტორები იყვნენ **პაისი, ბრეჟნევი** და **მარუშკო.**

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელებმა მეორე შეხვედრა ჩაატარეს თეირანში საკლუბო გუნდ „დარაისთან“ და გაიმარჯვეს 2:1.

იტალიის ცნობილი საკლუბო გუნდი „ინტერნაციონალეი“ დამარცხდა „მანტოვთან“ 0:1 და ჩემპიონობა „იუვენტუსს“ დაუთმო. „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელმა ვ. მრმრამ უარი განაცხადა იტალიის ნაკრების მწვრთნელობაზე.

მეათე სასიამოვნო ეტაპი

ლონდონი, 7 ივნისი. (საკდესი). მეათე ეტაპის შემდეგ ინგლისის ველორბოლის ლიდერები გუნდურ ჩათვლაში გახდნენ ჩვენი სპორტსმენები.

პირად ჩათვლაში კვლავ დაწინაურდა ინგლისელი **ლეს უესტი.** საბჭოთა მრბოლთაგან საუკეთესოა **ა. სტარკოვი,** რომელიც მეხუთე ადგილზეა.

ერთმა ქულამ გადაწყვიტა

ჩაუ ვლასოთ, ჩაუ ფოვისშილოთ

ტელევიზიის პროგრამა

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЮ 04088 — საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.